საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბნავისი

ბნავისი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ატენის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ათრევის (ტანის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 790 მ, გორიდან 13 კმ. 212 მცხ. (2014).

ბ-ს იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ატენის ხეობის სოფელთა სიაში. 1631 ბ-ის მამულები ატენის ხეობის სხვა სოფლების მამულებთან ერთად ქართლ-კახეთის მეფემ თეიმურაზ I-მა იოთამ ამილახორს უბოძა. 1865 ბ. თავისი 13 კომლით ხიდისთავის უბნის ღვარების სასოფლო თემის შემადგენლობაში შედიოდა. სოფლის სამხრ-ით 1 კმ-ზე დგას შუა საუკ. ეკლესია.

ჯ. გვასალია